სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები

# დიმიტრი ბაქრაძე

N 7389



ტფილისი

სტამბა ი. ა. მანსვეტოვისა.

1891

Библиотека-Музей
имени
Акад. И. Грашашвили
Академия наук ГССР

Библиотека
Тифлисскаго Собрания



Доз. Цензурою. Тифлисъ, 20 Сентября 1891 г.

Типографія Я. А. Мансветова. Лор.-Мел. ул. д. Мдивани

# ქართველი მწერლები

## დიმიტრი ბაქრაძე

### I

ქართველ ერის ისტორიის მასალების სიუხვე ერთ დროს ცნობილი იყო მთელს აზიის ხალხში, შემდეგ დროებში ამ ისტორიის მასალების სიმდიდრე ცეცხლსა და წყალს მიეცა! პოლიტიკურათ ფეხზე მდგარი ერი უწყალოთ დაეცა ძირს და შინაურ მტერთა მეოხებით ოსმალ-სპარსთა მონად შეიქმნა. ესეა ეს წუთი სოფელი, ზოგი ადის მის კიბეზე და ზოგი ჩადის. ასევე დაემართათ ქართველებს, დასავლეთ საქართველოს ნახევარ ნაწილი 1629 წ. ოსმალეთმა დაიპყრო, ამით გატყდა საქართველოს უმთავრესი ძალა. ამავე დროს: ნუხის მხრიდამ და საინგილოდამ შაჰ-აბაზმა ასოცი ათასი ქართველი გადაასახლა სპარსეთში. ამ გადასახლებით აქეთ მოისპო ქართველობა და ბოლოს ეს მტრები საქართველოს კალიასავეთ მოედენ. ქართლსა და კახეთს სპარს-ლეკებმა დაუწყეს რბევა და იმერეთს ოსმალებმა. ყველა ამ მტრების უმთავრესს ნატვრას საქართველოს დაცემა შეადგენდა და აგერ ამათ დასცეს კიდევაც იგი და ამ დაცემას-

თან დაეცა მთლათ ქართველი ერის ისტორიული მასალების სიუხვეც.

ჩვენის ისტორიის მასალების ასეთს არა კეთილს მდგომარეობას მეჩვიდმეტე საუკუნეშივე მიაქციეს ყურადღება და მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისს ხომ ვახტანგ მეექვსემ მთელი გული დაარსა ქართველის მეისტორიებისა, მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ რაც ვახტანგ მეფის თანა-მედროვე პირებმა დასწერეს, ეს დანაწერი ისე ნათელს ვერ ჰფენს ქართულ ისტორიას, როგორც სიბნელეს და ისტორიულს წყვდიადის ხვანჯს. სწორეთ ამ პირების მეოხებით მიეცა საფუძველი პროფესორს პატკანოვს და სხვებს, რომ „ქართლის ცხოვრების“ შედგენაც-კი ვიღაცა სომხის ბერს აკუთვნეს!

ვახტანგის დასის შემდეგ საქართველოს ისტორიის ასპარეზზე ბევრი სხვა და სხვა მწერლები გამოვიდენ და მეცხრამეტე საუკუნეში ხომ ყველასთვის ცნობილ არიან რუსეთში მყოფი ქართველი ბატონიშვილები, ამათ გარდა ბროსე, ჩუბინოვი, როსელიანი, ბერძენოვი, სოლ. ბარათაშვილი, რამდენიმე კიდევ სხვა და სხვა საერო და სასულიერო პირნი, რომელნიც საქართველოს ისტორიის მასალებს ჰკრებდენ და ბეჭდავდენ, მაგრამ იმასაც ვიტყვით, რომ ვერცარა დიდი სიკეთე ამათ შესძლვნეს ჩვენს ისტორიასა. ესენი ცალის ხელით თუ ჰკრებდენ რამეს და აკეთებდენ, მეორეს ხელით უფრო ბევრს აკლებდნენ და რევდნენ საქართველოს ისტორიის განვითარების საქმესა, ვამბობ — ვნებდნენ ესენი მიტომ, რადგანაც მრავალს ცნობებს სხვა და სხვა ნაირათ ასხვაფერებდნენ და ყველას თავიანთებურათ რთავდნენ და მარტავდენ. ამისთვის საკმარისია მათი ნაწერების ერთი ნაწილის გაცნობა. ამ ნაკლის თავიდამ აცილება ერთათ ერთი სოლ. ბარათაშვილმა ისურვა, ამან მოინდომა, რომ

თავის ისტორიისთვის შლოსერისა და ვებერის ისტორიის წეს-დებს მიეცა და ეს ისეც ქმნა მან, მაგრამ ამის ერთი უბედურება ის იყო, რომ ამ ქართველ კაცს და საქართველოს მეისტორიეს ქართულს ენაზე წერა რაღაც ეჩოთირებოდა! გარდა ამისა მან ქართული ენა არც რიგიანათ იცოდა. საქართველოს შესახებ დაწერილს ისტორიულს წიგნებს ეს რუსულათ და ფრანგულათ კითხულობდა. ქართულს ისტორიულს მწერლობაში ამან „ქართლის ცხოვრების“, ვახუშტის გეოგრაფიის და ორი სამი სხვა რამ წიგნის სახელის მეტი არცკი იცოდა! ამას ცხადათ აჩენენ მის ისტორიის მასალების სახელების მოხსენება. მიტომაც იყო, რომ ამ პირმა მთელი თავის ისტორია ათასნაირის შეცდომებით გაავსო. ამას ხომ მისი ისტორიის მეოთხე წიგნაკიც უეჭველათ ამტკიცებს. ასევე ითქმის თვით ბროსეზე და ბევრს კიდევ სხვებზე, რომლებიც სცხოვრობდნენ წინეთ, სცხოვრობენ დღესაც და მრავალს ისტორიულს წერილებსაც სწერენ.

ასე და ამ გვარათ, ჩვენს ისტორიას ძველის ძველადგანვე გამოუჩნდენ ისეთი მეისტორიე მწერლები, რომლებმაც ფავიანთის შრომით ამ ისტორიული მწერლობის ასპარეზი ათასნაირის სიბნელით მოჰფინეს. აი სწორეთ ასეთ სიბნელით მოსილს ისტორიის ასპარეზზე პირველათ გამოვიდა დ. ბაქრაძე. პირველად ამან მოჰკიდა ხელი აქ ისტორიული ცნობების წერას ისე, როგორც რიგი იყო; პირველათ ამან დაიწყო სიფრთხილით მოპყრობა და გარკვევა. აქ ამ მასალების არევ-დარევაში პირველათ ამან შემოიღო კრიტიკული მეთოდი, პირველათ ამან ინატრა და დაასაფუძნა კიდეც ისტორიული კრიტიკა, თუმცა ამისთვის ჯერ მას დრო არ შესწევდა. ამის ნატვრას ყოველთვის ის შეადგენდა, რომ ჩვენს ისტორიაში კრიტიკული შეხედუ-

ლება დაარსებულიყო. პირველად ამას ხვდა აქ ამის შესახებ აუარებელი მეცადინეობა. ეს ცხადათ სჩანს იქიდამ, რომ კაცმა ორმოცი წელიწადი სწერა დაუცხრომლათ საქართველოს ისტორიული წერილები და მაინც კიდევ, ამ ბოლოს დროსაც, ვერ ბედავდა საქართველოს ისტორიის დაწერასა. იმ დროს, როცა აუარებელი ისტორიის სიმდიდრე უკვე მოპოვებული იყო და ყველა ეს მას წინ ედო. ვერ ბედავდა, ფრთხილობდა. ჯერ ყოვლათ შეუძლებელია, რომ აქ რიგიანი ისტორია დაიწეროსო, ჯერეთ კიდევ ცნობების შეკრება არის საჭირო, მათი კრიტიკულათ გარჩევა და სხვანიო.

როცა ამ ყოვლად პატიოსანი პირის დაკარგვას მოვიგონებ ხოლმე, მაშინ საქართველოს ისტორიის შესახებ, მე ვინ იცის რამდენ ნაირი ჰაზრები არ მიტრიალდება თავში. ამ პირმა ისეთ ნაირათ იცოდა ქართველი ერის პირველ დროების ცხოვრებანი, შემდეგი დრო, სამეფოს დაარსების, ქრისტიანობის მიღების, შენობაების, ხელოვნების, საეკკლესიო ისტორიის, სამხედროის, იურიდიულის, ბატონ-ყმობის, მიწათ მფლობელობის და სხვების, რომლის მსგავსად ჯერ-ჯერობით ნურავინ რას დაიკვეხებს, თუმცა სანატრელია და ყოველს ჩვენს ნატვრას ის შეადგენს, რომ ბაქრაძესთანა თავ-დადებული მშრომელები აღმოსჩნდნენ და იმავე დროს მათ საკმარისად ვრცელი განვითარებაც ჰქონდესთ. ამის ნიშანი ჩვენში უკვე აღმოსჩნდა და ამ ბოლოს დროს ქართული ისტორიის ასპარეზზე გამოვიდა ბ. ნიკოლოზ ხიზანაშვილი, რომელმაც თავის ისტორიულის გამოკვლევებით საკმარისად დიდი ყურადღება მიიპყრო არა მარტო ქართველი საზოგადოებისაგან, არამედ თვით განსვენებულის დიმიტრი ბაქრაძისაგან და ნ. ნიკოლაძისაგანაც. ბაქრაძე ამბობდა: რომ ნიკო ხიზანაშვილი ქართულს ისტორიაში პირ-

ველი მკვლევარი იქმნებაო. მე დიდათ მოხარული ვარ ამ პირს ასეთ მეცადინეობაზეო. ასეთის თვისებისა იყო დ. ბაქრაძე და ამიტომ იგი ღირსიც იყო იმ წოდებისა, რომ აკაკიმ მას დიმიტრი თავდადებული უწოდა. დ. ბაქრაძე თავის საგანში და მის წინ მსვლელობაში სწორეთ თავ-დადებული პირია, მას ცალი არავინა ჰყავს.

დიმიტრი ბაქრაძე დაიბადა აპრილის 8, 1827 წ. სოფ. უჯარმოს. ამის მამა იყო ზაქარია მღვდელი, უჯარმის ეკკლესიისა. ბაქრაძის მამა-პაპანი ყაბარდოდამ გადმოსახლებულან, შთამომავლობით გლეხის შვილები ყოფილან და აქედამ სასულიერო წოდებაში შესულა ერთი იმათ ოჯახთაგანი, დ. ბაქრაძეც ამ პირის შთამომავალი ყოფილა. უბრალო სოფლის მღვდლის შვილი, თორემ პატარა სოფელს უჯარმოში სახელოვან მღვდელს და მღვდლის შვილს არავის გაგზავნიდნენ, რადგანაც აქ არც ეს იკისრებდა ყოფნას. პირველ დაწყებითი წერა-კითხვის სწავლება დ. ბაქრაძემ შინ მიიღო, შემდეგ ეს მისცეს იოანე ნათლის-მცემლის საბერო სასწავლებელში, სადაც დარჩა კარგა ხანს და სწავლობდა რიგიანათ, ქართული ხუცურის კითხვა აქ შეისწავლა მან. აქედამ ეს მისცეს თფილისის სასულიერო სასწავლებელში, აქ ეს ერთ უპირველეს შეგირდათ ირიცხებოდა. კანიკულებში შინ ყოფნის დროს პატარა ბაქრაძე თავის მამას ეხმარებოდა ეკკლესიაში და საეკკლესიო წიგნებს ისე ლამაზათ კითხულობდა, რომ ეს ბევრს უკვირდა თურმე. სასულიერო სასწავლებლის შემდეგ ეს გადავიდა სემინარიაში. როგორც პირველი შეგირდი აქაც ისევე იქმნა და ისახელა თავი. სემინარიაში ბაქრაძე ყოველთვის პირველ შეგირდათ ყოფილა. აქ მეექვსე კლასის დათავებას აღარ მოუცადა მან და მეხუთე კლასიდამვე გადავიდა მოსკოვის სასულიერო აკადემიაში. აქ სწავლა დაამთავრა 1850 წ. და კანდი-

დატობის ხარისხი მიიღო. 1851 წ. ეგზარხოსს უნდოდა რომ ბაქრაძე მღვდლათ კურთხეულიყო. ეს რჩევა ბაქრაძემ არ მიიღო, ამან მღვდელობაზე უარი განაცხადა, რადგანაც იგი კარგათ უმზერდა თავის მამის ღარიბ მდგომარეობასა და ღარიბ ერის წინაშე ღარიბ მღვდლის ცხოვრებას და მოქმედებას. ამავე წელს ბაქრაძე დანიშნეს გორის სამოქალაქო სკოლის მასწავლებლათ, ეს ამ თანამდებობით სასულიეროს ნაწილდამ საერო ნაწილზე გადავიდა და 1853 წ. სრულიად გამორიცხეს სასულიეროს წოდებიდამ. 1857 წ. ამან მასწავლებლობას თავი გაანება და 1858 წ. დანიშნულ იქმნა ქუთაისის გენერალ გუბერნატორთან განსაკუთრებითი მოხელეთ, უჯამაგიროთ. ამ დროს აღწერა ბაქრაძემ სვანეთი; ეს შესანიშნავი მოგზაურობა და აღწერა შემდეგ ცალკე დაიბეჭდა. 1862 წ. ეს ჩარიცხულ იქმნა კავკასიის მთავარ მართებლის უმთავრესს გამგეობის უწყებაში. ამავე დროს ეს დანიშნულ იქმნა მეხუთე მეჟევოის კომისიის თავს-მჯდომარეთ. 1864 წ. დანიშნულ იქმნა კავკასიის მართლმადიდებელის საზოგადოების წევრად და გაგზავნილ იქმნა სამრევლო სკოლების უფროსად დ დასასინჯავათ. 1868 წ. მისის თხოვნით ეს განწესებულ იქმნა თფილისის პალატაში. 1872 წ. ამან თავის სურვილით თავი დაანება და 1873 წ. დანიშნულ იქმნა აღმოსავლეთის ენების ცენზორის თანა შემწეთ. ამის შემდეგ მას მიანდეს გურია აჭარაში მოგზაურობა და აღწერა, ამ დროს აღწერა მან თავის შესანიშნავი მოგზაურობა, აჭარაში შესვლის დროს ეს თორმეტი დღე ჰყავდათ თათრებს დაჭერილი და ვიდრე სტამბოლიდამ ნება არ მოუვიდათ ბათუმში, მანამდისინ ბაქრაძე არ გაუშვეს არსად. 1875 წელს მას მიანდეს კავკასიის მთავარ-მართებლის სტამბის ცნობების შედგენა. 1879 წ. დანიშნულ იქმნა თავსმჯდომარეთ იმ კომისიისა, რომელსაც

მინდობილი ჰქონდა გამოკვლევის ზაქათალის მაზრის ადგილ-მამულთ გვაროვნული უფლება. 1883 წ. ეს დანიშნულ იქმნა კავკასიის სამხედრო მიწათ მფლობელობის სამართველოს თავსმჯდომარეთ. აქ ეს დარჩა თავის სიკვდილამდე და 10 თებერვალს, 1890 წ. გარდაიცვალა.

ყველგანა, სადაც-კი მსახურებდა ბაქრაძე, მეტად თავმდაბალი კაცი იყო, აქ ამის სიცუდე და წყენა არავის უნახავს, ერთი მომჩივანე და სხვა. სადაც-კი ყოფილა, ყველგან დიდი პატივი და ხსოვნა დაუმსახურებია, თუ თავის ტოლ ამხანაგებში და თუ თავისზე დაბლა მდგომ მოსამსახურე პირებში. სხვა თავსმჯდომარეებივით ამან თავისზე დაბლის გარჩევა არ იცოდა, ყველასთვის გამარჯობა და ხელი მზად ჰქონდა, გინდ სულ უბრალო პირიც რომ შეხვედრიყო მას, სულ უბრალოს ტანთ საცმლით. მისი სახლის კარიც ყოველთვის ყველა მიმსვლელთათვის ღია იყო. თუმცა ამის ოჯახობას სუფთათ მოწყობილი ოთახები და ცხოვრება ძრიელ უყვარდათ, მაგრამ ბაქრაძე მაინც ამ სუფთათ მოწყობილს ოთახებში მიღებას არავის ერიდებოდა. მისის ასეთის საქციელისაგან გაკვირვებული იყო საწყალი იოსებ დავითაშვილი. ეს ამბობდა: ნეტა ეს რა კაცია, სად შეითვისა ეს თავის სიმდაბლე და პატივის ცემაო. ორჯერ-სამჯერ მე ჩვენმა ზოგიერთ მწერლებმა თავიანთ ოთახებში არ შემიშვესო, რადგანაც ჩექმები ტალახიანი გაქვსო. ბაქრაძე კი ამაებს სულ არ უმზერდაო. ერთხელ დავითაშვილი აღდგომა დღეს სწვევიყო ბაქრაძეს. ბაქრაძეს დიდის სიხარულით მიეღო, მასპინძლობა გაეწია, დიდი პატივი და მადლობა ეთქვა შესახებ ამისაგან გადმოღებულის რამდენიმე ეკკლესიის წარწერებისა, რომლებიც დავითაშვილმა გადმოიღო სხვა და სხვა ძველის ეკკლესიებიდამ და მას წარმოუდგინა. ამის გამო იმ დროის გაზეთ „დროებაში“-შიაც იყო

წერილები. ასეთი თვისების იყო ბაქრაძე და ეს ყველამ კარგათ იცოდა, მისვიდოდი თუ არა მის კარზე და ზარს ჩამოჰკრავდი, მაშინათვე ან მსახური გამოვიდოდა და ან თვითონ, ლამფა ხელში, ცქვიტათ, მარდათ, და უბრალოთ. შესვლის შემდეგ: აბა, ყმაწვილებო, ახალს რას იტყვით?—შაქრო, სოსო, აბა ჩაი მოართვით. და სხვანი. აქ ისევ და ისევ საუბარი ისტორიაზე გადავიდოდა. ეს თუნდ სადილზე რომ მჯდარიყო, მაშინაც კი არავის გააბრუნებდა სახლის კარიდამ, ამან სულ ხუთ-ათს მინუტში იცოდა სადილის გათავება. უნდა ითქვას, რომ ყველა თავის მიმსვლელ სტუმართა შორის ისე არავის მისვლა არ ესიამოვნებოდა, როგორც ქართველ მოზარდ თაობისა და მოსწავლე ყმაწვილების. მე მოვიყვან შემდეგს: 1878 წლის შემდეგ მე ხშირათ დავდიოდი მასთან და ვინ იცის ვინ არ მიმყვანდა თან. ვისაც კი მისი გაცნობა უნდოდა, ვისაც კი რამის კითხვა ისტორიის შესახებ. ან რამე ისტორიული წიგნი; ყველა ამათ დ. ბაქრაძე სიამოვნებით ესაუბრებოდა. ბევრს თავის წიგნებსაც უთავაზებდა, ზოგს ისტორიულს მოვლენასა და კითხვებსაც აუხსნიდა. საყოველთავოთ კი ამას ჩვეულებათ ჰქონდა რომ ყმაწვილ კაცებისთვინ ჩვენის წარსულის დროის ბევრი რამ ღირს შესანიშნავი ცნობები ეჩვენებინა, წინ გადაეშალა და მის საშუალებით მათთვის ეცნია საქართველოს ისტორიის შესწავლის მნიშვნელობა და საგანი. ვისაც კი რასმეს შეატყობდა, განსვენებული ყველას იმას ეუბნებოდა, რომ ყმაწვილებო, იშრომეთ, ჯაზროვნებას და მუშაკობას შეეჩვიეთ. მარტო მელექსეობით ჩვენ ვერ წავალთ წინ, ჩვენი მომავალი ჩვენის წარსულის შესწავლაზეა დამყარებული და ევროპიულის სწავლა განათლებაზე. დღევანდელმა თაობამ უნდა ეცადოს, რომ იგი ხეირიანათ გაჰყვეს თავის ქვეყნის ერის ისტორიის შესწავლის

საგანს. ამის შესწავლით იგინი მომავალს მეისტორიეს საშუალებას მისცემენ, რომ მან ადვილად გაარჩიოს ზღაპრები, ცრუმორწმუნეობანი და სხვა ცნობები ნამდვილის ისტორიულის ჭეშმარიტს ცნობებისაგან. თუ დღევანდელი თაობა არ იზრუნავს ამისთვის, როცა აქ კიდევ ბევრი რამ ღირს შესანიშნავი მასალების დაშთენილი, შემდეგისთვის ყველა ესენი მოისპობა, დაღუპება, დაიკარგება და მომავალ მეისტორიეს ღონის ძიება მოესპობა ხეირიანად ისტორიის დაწერისა. ახალ-გაზდებზე ასეთის შეხედულების იყო ეს თავის სიკვდილამდე. მის სიკვდილის ორი თვის წინეთ, საშობაოთ, მე ვიყავ მასთან და რამდენიმეც სხვები. აქვე იყვნენ ორი ქართველი. ბ. ნ. ჟ. და ფ. მ. ეს ყმაწვილები მან დიდის სიამოვნებით მიიღო, მაშინათვე წამოსტა, აბა სკამები, აბა ჩაი ყმაწვილებო, ამ პირებთან მან თითქმის ორი საათი ისაუბრა, რა მანუსკრიპტები არ უჩვენა, ძველი სურათები, თამარ მეფის გულზე საკიდი ჯვარი, ძველი ხელთნაწერები. ქართული სატების წარწერანი და სხვანი. სხვა და სხვა საუკუნოების ანბანი და მათი განვითარების ისტორია. ბოლოს საქართველოს ისტორიის მეორე ტომის წერაზე გადავედით. ამაზე სთქვა: ჩემს სიძნელეს ჩვენს ისტორიაში მეთოთხმეტე საუკუნიდამ მეთექვსმეტე საუკუნის გასვლამდის შეადგენსო. წამოსვლის დროს ამ ყმაწვილებს სთხოვა, რომ როცა გენებოთ, მაშინ ჩემთან მოურიდებლივ შემოდითო. ეს პირები გაკვირვებულნი იყვნენ ბაქრაძის ასეთ საქციელზე, მან დაინახა თუარა ესენი, მაშინათვე თავის შრომა — გურიის ნაშთების აღწერა იქით გადასდო და ამათ დაუწყო საუბარი. ამათ სთქვეს: ეს პირველი მაგალითია, რომ ვინმე ქართველს მწერალს ჩვენ ასე პატივის ცემით მივეღეთ და ჩვენთვის თავმდაბლად საუბარი გაეწიაო. ამის შემდეგ ამათ ეს პირი დიდად

განვითარებულ პირათ იცნეს და ბევრს ქართველს მწერლებზე, დაც მაღლა დააყენეს... ჟურ. „სევერნი ვესტნიკში" რომ ჯაბადარის წერილები იბეჭდებოდა, ამ დროს „ივერიაში" პასუხს აძლევდა ბ. ილ. ჭავჭავაძე და ნ. ნიკოლაძე „ახალ მიმოხილვაში". ამ პოლემიკების შესახებ ქართველ საზოგადოებაში დიდი კამათობა და ბაასი ატყდა, ერთ ალაგას საუბარი იყო ამაზე-აქვე იმყოფებოდა დ. ბაქრაძე, ბაქრაძეს კითხვა მისცეს ამ ისტორიული პოლემიკის შესახებ.

ამან ყველა ამაებზე მოკლე პასუხი მისცა და მალე დააკმაყოფილა მოსაუბრენი. განა ღირს მაგდენი ლაპარაკიო, კაცი ისტორიულ სტატიებს სწერს, ამიტომ ვრცელი ცოდნა არის აქ საჭიროვო, თუ კაცმა ანუ მწერალმა ისტორიის ცნობები არ იცის, მაშინ მას საკმარისი შეცდომებიც მოუვაო, შეიძლება, რომ ჯაბადარს ამის მხრივ ნაკლულევანება ჰქონდეს, მაგრამ რაც შეეხება მტერობას, რომ ის თავის წერილებს ქართველების სამტროთ და საღალატოთ სწერდეს, ამას-კი ვერ დავიჯერებ, რადგანაც ჯაბადარი საქართველოს შვილია და როგორც სჩანს მისის წერილებიდამ, ის საკმარისად განათლებული კაცი უნდა იყოს და მასთანავე ჩვენს უბედურებაზე დიდათ უნდა შესტკივოდეს გულიო. დღეს ამან დასწერა, ხვალ სხვა დასწერს, კითხვები აღიძვრება, ცნობები გაირკვევა და ესეც დიდი საქმეაო. არაუშავსრა, მაგ წერილებით არა დაშავდება რა, ასეთის შეხედულების იყო ბაქრაძე ჯაბადარის წერილებზე და ასევე უმზერდა სხვებსაც.

ქართულს მწერლობაში თუმცა განსვენებული მელექსეობას არად აგდებდა, მაგრამ ქართველ პოეტების-კი მაინც საკმარისი პატივის მცემელი იყო. ნამეტურ აქებდა აკაკის და ილიას.

ერთხელ გრ. ორბელიანზე გვქონდა საუბარი და ამის შესახებ კარგი არა სთქვარა. მისი პოემა „სადღეგრძელო“ და „მუშა ბოქულაძე“ კი ძრიელ აქო. მან ფუჭათ გაატარა თვისი დროებაო. მარტოთ მარტო სცხოვრებს იმოდოლა სასახლეშიო. ნეტა რას აკეთებს, როგორ არის, რ ს შვრება, მე დიდი ხანია მასთან არ ვყოფილვარო. უნდა ვსთქვათ, რომ კ. ორბელიანს უფრო მაღლა აყენებდა გრ. ორბელიანზე. ყველა ქართველ პოეტებზე მაღლა კი ილიასა და აკაკის სთვლიდა. ასეთივე შეხედულება ჰქონდა ნიკოლაძეზე; ამას ყოველთვის განვითარებულ პირათ აღიარებდა, დიდს ოსტატათ-გამოჩენილს მწერლათ. მას დიდი ცოდნა აქვს, არც ერთ ჩვენს პოეტებსა და მწერლებს არა აქვთ მაგდენი ცოდნა, გამბედაობა და ნიჭი, რაც ნიკოლაძეს, ეგ სახელია მთელის ქართველობისა და ქართველობამ უნდა იმედიდუროს, რომ მაგისთანა შემძლე კაცი ჰყავთ. რაიცა შეეხება ქართველს საზოგადოებაზე, იგი ერთობ გულნაკლული იყო, აქ საზოგადოება არ არსებობს, აქ ჯერ არ არის საზოგადო ჰაზრი გაღვიძებული, საზოგადო საქმეების თანაგრძნობის მნიშვნელობა და სიყვარულიო. მეტის მეტათ სძაგდა ქართველი თავად-აზნაურობა. ამათ ლოთობას, ლაზღანდარობას და ყომარბაზობას ყოველთვის ზიზღით უმზერდა. ამიტომაც იყო, რომ ეს არც ერთ სათავად-აზნაურო კრებებში არაფერს მონაწილეობას არ იღებდა. არ მახსოვს მე, რომ ეს რომელიმე ამათ კრებას ახლო მიჰკარებიყოს. ამან ისე დაასრულა თავისი სიცოცხლე, რომ ერთხელაც არ მიიღო იმ კრებაში მონაწილეობა, სადაც კი ქართველი თავად აზნაურები ერივნენ. ამათი მე არც საზოგადო ჰაზრი მომწონსო, არც მიმართულება და არც მოძრაობაო. მე სადმე უცხოთ კრებაში უფრო დიდის სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას, ვინემც მათშიო. თუმცა იმასაც ამბობ-

და. რომ ჩვენს თავად აზნაურებში ბევრი პატიოსანი და ღირსეული პირნიც ურევიანო. ვიტყვით, რომ ამ პირებს საკმარისი ღვაწლიც მიუძღვისთო და იგინი ამის მოვალენიც არიანო, რადგანაც დღეს ჩვენში მათ უკავიათ უპირატესობა თავიანთის გვარიშვილობის შეოხებითო.

ქართველ სამხედრო და სამოქალაქო გენერლებში ყველაზე დიდის პატივის ცემით ოთხს სამოქალაქო ქართველს გენერლებს ასახელებდა და სამსაც სამხედროს. ამათ გვარსა და სახელს ჩვენ ქვემოთ აღვნიშნავთ- ეს მეტის პატივის ცემით მიეგება დ. ყიფიანის გვამის აქ გადმოსვენებას. დასაფლავებაში მონაწილეობაც მიიღო. რაიცა შეეხება ჩვენს ძველს ქართველს მამებზე, იგი ერთობ ცუდის შეხედულების იყო. ეს ყოველთვის თავისუფლათ ამბობდა, რომ ამ საუკუნის პირველ წლის ჩვენს მამებს სრულებით არავითარის ცოდნა ჰქონდათო. რის განათლება, რის განვითარება! ამისთვის კმაროდა ერთათ ერთი პ. იოსელიანის მოგონება, რომელიც თავის ცოდნით ბევრს თავის თანამედროვე მამებზე მაღლა იდგაო. ამ ძველი კაცების შრომას და ცოდნას მე მაინცა და მაინც უარს არ ვყოფო, მაგრამ რაც შეეხება მათს განათლებას, ეს კი სულ უბრალოა, სულ უმნიშვნელო. ამ პირებმა ისე განატარეს თავიანთი ცხოვრება, რომ არსად ერთი სამახსოვრო არა გააკეთესრაო. სამახსოვროთ ამათი ბოროტება ჰრის მხოლოთ დაშთენილიო.

ერთხელ გ. მუხრანსკის და ამის წიგნზე ჩამოვარდა ლაპარაკი. ამაზე ბაქრაძემ სიცილი დაიწყო, და აი რა სთქვა: „აბა რა იმის საქმე იყო, ის ღურაკი ისა, კაცი ისეთ საქმეს ჰკიდებს ხელს, რის გაგებაც მას სულ არა აქვს. რის მოსაზრებაც მას სულ არა შეუძლიან. უვიცი და ბოროტი, პარიჟში წაბრძანდა, ეგონა რომ იქ გაავრცელებდა თავის უვიცურს მოსაზრებას. იქ

თავის აზიური მოსაზრება ფრანგულს ენაზე გადასთარგმნა და ფრანცუზებს მიართო, ეგონა, რომ ამ ბოდვას იქაც ისეთი გასავალი ექმნებოდა, როგორც აქ, ის კი არ იცოდა, რომ იქ მას ყურადღებას არავინ მიაქცევდა და არც მიაქციეს. როგორ-არა, თავისუფალ მეცნიერების მიმდევარ ფრანცუზებს სულ ამისთვის სცალოდათ, რომ ვიღაც აზიელის მუხრანსკის ბოდვისთვის ყურადღება მიეპყროთ. ამის წიგნის მთელი გამოცემა მხოლოდ სახვევ ქაღალდათ გამოდგაო. მას არც ერთ მეცნიერს ყურადღებაც არ მიუპყრია. უბედურს, სურდა, რომ თავის ბინძურის განზრახულებისთვი მეცნიერების ფარდა გადაეფარებინა! და მით დაუფარა იგიო. კაცი როცა ასეთ საგანს ჰკიდებს ხელს, მან კარგათ უნდა იცოდეს ბუნების მეცნიერება. შედარებითი ლინგვისტიკა, ანატომია, ფიზიოლოგია, გეოლოგია, ისტორია და სხვანიო. ამან კი არც ერთი ამ მეცნიერებისა არაფერი იცოდა, მუხრანსკის აბა ვის რა უნახავსო. გაგონილაო, სუყველა პატარა ტომები უნდა გაწყდენ, მძლავრებმა უნდა ჩაყლაპონო, ამიტომ ქართველებს, ოსებს და მთიულებს გაწყვეტა მოელისო. ესეთი პირები თავიანთ ჰაზრების მოსართავათ ხშირათ დარვინის „ბრძოლას არსებობისთვისაც“ ხმარობენ და მით რთავენ, რომ მძლავრმა სუსტი უნდა ჩაყლაპოსო, მაგრამ იმას კი არ აკვირდებიან, თუ დარვინს სად და როგორ აქვს ეს ნათქვამი. დარვინი დარვინია, დიდი პატივ საცემი, მაგრამ განა მასკი არ შეიძლება, რომ შეცდომა მოსვლოდაო. მაშ რაღას ელტვის დღევანდელი ძალა, რაღას მეცადინეობენ და თავს იმტვრევენო, თუკი კაცობრიობას მომავალშიაც კიდევ მძლავრისაგან სუსტის დაჩაგვრა და ჩაყლაპვა დახვდება წინაო. მე ამის წინააღმდეგი ვარ და უარს ვყოფო, რადგანაც ეს მოსაზრება მოსაწონი არ არისო. აბა ამაზე რაღა სთქვას

გაცმა, რომ ბაქრაძეს მოსაზრება უტყუარს ჭეშმარიტებას შეადგენს და ვისაც „ოტოჩესტვენნი ზაპისკებში“ მიხაილოვსკის წერილები „დარვინიზმის“ შესახებ უკითხავს და ან 1888 წ. „რუსკია მისლში“ ნ. ჩერნიშევსკის წერილი დარვინიზმის შესახებ, ის მაშინ ჭეშმარიტათ აღიარებს ბაქრაძის მოსაზრებას.

ასეთ არა კეთილს აზროვნებისა მეუხრანსკის გარდა სხვებიც ბევრნი იყვნენ. თვით პ. იოსელიანიც კი, რომელმაც გ. მეუხრანსკის ამ შრომის გამო აი რა უთხრა: გიორგი! საქართველო, მაღლის კუდსა ჰგავსო, როგორც ის არ გასწორდება, ისევე საქართველო, ამის ჩაყლაპვას ბევრი ძლიერი სახემწიფოები ლამოდენო, მაგრამ საქართველო კი ვერ ჩაყლაპეს და თვით კი ჩაიყლაპნენო. თუმც ეს უთხრა მეუხრანსკის, მაგრამ არც ეს იყო წმინდის თვისებისაო. ბაქრაძეს სურდა, რომ პ. იოსელიანისაგან დაწერილი „გიორგი მეფის ცხოვრება“ უნდა გაერჩია და მასში დაწვრილებით ელაპარაკნა, როგორც „გიორგი მეფის ცხოვრებაზე“ ისევე პ. იოსელიანზე და მის თანამედროვე ქართველ კაცებზე. იოსელიანის შრომას ეს არ უარ ჰყოფდა, მაგრამ იმასაც ამბობდა, რომ იოსელიანმა ბევრი არევ-დარევა მოახდინა ჩვენს ისტორიაშიო. ჩვენს სამღვდელოებაზედაც არა კეთილის შეხედულების იყო, ამაზე ამბობდა ხოლმე, ეგენი ამ საუკუნეში მხოლოდ ჭამისთვის გაჩენილანო. ეგ უზდელები, ეგ სამწუხარონი, სწორედ ზიზღს მგვრის მათი დანახვაო, არაფრის მოსაზრება და სხვანიო. ამათში ბევრი მეტის მეტი უს-დელნიპირნიც ურევიანო. მაგალითად: ამ უვიცებში მოიპოვებიან ისეთი მავნე პირები, რომლებიც თავიანთ დედა-ენას უარს ჰყოფენ და ზოგიერთ ალაგას თავ-გადადებით ამტკიცებენ, რომ ჩვენ ტანით ქართველები ვართ და სულით-კი რუსებიო. მეორე სულ იმას ასმენდა ეგზარხს, რომ რუსი ვარ, რუსული ენა მიყ-

ვარსო, ქართული მძულსო, ცოლი მოუკვდა ამ უზდელს, ცო-
ლი ქართულად დაიტირაო და მაშინ მღვდელ მთავარმა სთქვა:
აგი ეგ ამბობდა, რომ რუსი ვარ და ქართული ენა მეჯავრებაო,
ქართულად რათ დაიტირა თავის ცოლიო. ამას გარდა რამდენი
სხვა ბოროტება სჩადის მათში, ეკკლესიებიდამ ძველი ნივთე-
ბის ფლანგვა და გატანა, ეს რომ აღიხსნოს, მაშინ მათ ერ-
თი თავ-მოდრეკილი ჩირქი მოეცხობათო. კაცი რომ გინდოდეთ,
ერთ კაცს ვერ დამისახელებთ მათგანსაო, მათში ერთი პირიც
არ მოიპოვება, რომ იმას ცოდვები არ ჰქონდეს და ან მას ვინ-
მეს წინაშე სიტყვის წარმოთქმა შეეძლოს, თუ არიან ვინმე
ყველა ლოთები, ცბიერნი, ძმის მოძალადე და მედანოსკებიო.
სხვა რამ კაი საქმეს და ჭაზროვნებას მათში ადგილი არა აქვს.
სოფლის საწყალ მღვდლებზე ეს მაინცა და მაინც ასეთის შეხე-
დულების არ იყო. ბაქრაძის ესეთი შეხედულება მე გავიგე 14
იანვარს, 1879 წ. წმ. ნინოობას. ამ დღეს სიონში წირვა
იყო და საგანგებოთ ქართული გალობა იყო დანიშნული, წირ-
ვაზე ეპისკოპოზმა სწირა და წირვის შემდეგ ჩვენ ეპისკოპოზს
ვესტუმრეთ. იქავ სიონის გალავანში. აქ იყვნენ მრავალი სხვა-
და-სხვა სასულიერო პირნიც. ეპისკოპოზმა დაიწყო საუბარი:
რამდენიმე ფული მაქვს, მე მსურს, რომ ამ ფულით ჩვენის
სამშობლო ქვეყნის საქმეებს დავეხმარო და რას მირჩევთ თქვე-
ნაო, წიგნები დავბეჭდო, გალობას აღვადგინო, თუ შიო-მღვიმის
მონასტერიო, ბაქრაძემ წიგნების ბეჭდვა ურჩია. წიგნები დაბეჭ-
დეთო. ამაზე უკეთეს თქვენ ვერაფერს გააკეთებთო. აქ
მყოფმა ორმა მღვდელმა კი შიო-მღვიმის მონასტრის აღდ-
გენა ურჩიესო: ამათ უთხრეს: თქვენო მეუფეობავ; თუ კაი
რამე ძველი წიგნები იქნება, იმას თქვენს გარდა სხვებიც გამო-
უჩნდებიან დამბეჭდი და დაბეჭდავს. მაგრამ როგორც ეს წამხდა-



ცნობრებათ.

რი დრო, შიო მღვიმეს კი არავინ აღადგენს, უმჯობესია, რომ თქვენ შიო მღვიმე აღადგინოთ. სასულიერო პირების ასეთმა მოპყრობამ ძრიელ აალელვა ბაქრაძე. ბაქრაძემ მიუგო პასუხათ. არა ბატონო, მე რაც გირჩიეთ, თქვენ ის გააკეთეთ და ეს შიომღვიმის მონასტერი ეგრე დარჩეს, როგორც არის, მაგის ეგრე დარჩენა უფრო უმჯობესი იქმნება, ვინემც შეკეთება და სრულიათ ძველის წაშლა, ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენის ისტორიის მოწმათ ჩვენი ძველი ნაშთები დავიცვათ, დავიცვათ ის, რაც დარჩენილა, ამასვე აქვს მნიშვნელობა ჩვენის არხეოლოგიისა და ისტორიისათვის. მაგ განახლებით სრულიად მოუსპობთ კაც ძიების-ძიებას, რომ ხეირიანათ რამე გაარკვიოს. ეპისკოპოზი ამბობდა: ის უნდა აღვადგინო და იქ უნდა დავიმარხოვო. კიდევაც დაიმარხე და წიგნები კი ბეჭდეო, მიუგეს. უნდა ითქვას კი, რომ ამას ვერც ერთი პირი ვერ შეამჩნევდა თუ ეს სამღვდელოებაზე ასეთის შეხედულების იყო. როგორც ამის გაგება არ შეიძლებოდა, ისევე სხვა ბევრი რამის. საუბარში სულ სხვა პირი იყო და წერაში სხვა. საუბარში სულ სხვა ჭაზროვნების მორჩილი და წერაში სულ სხვა.

ჩვენებურს მეისტორიებზე და პატრიოტულს მეისტორიებზედაც კაის შეხედულების არ იყო. ამბობდა, რომ ისტორიაში პატრიოტობა საჭირო არ არის, ცნობების შესწავლა და გარკვევა საკმარისია, მწერლის უმაღლესი ნიჭი და შემძლებლობა ყოველთვის ნათელს მოჰფენს ისტორიულს თხზულებას და იგი ამით ამ ისტორიას ყველასთვის სანუკარს საკითხავს გახდისო. პატრიოტულმა მეისტორიემ რომანები და მოთხრობები რომ სწეროს, ის უფრო უკეთესი იქმნებაო. სწორეთ ასეთის შეხედულების იყო ბაქრაძე დ. ჯანაშვილისაგან დაწერილ წერილებზე, სახელდობრ „ქართველი ქალები“ რომელიც „ივერია“-ში და-

ბეჭდა. ერთ დღეს შემთხვევით ლაპარაკი ჩამოვარდა ასეთს ისტორიულს ნაწერებზე, აქვე იყო დ. ჯანაშვილი, ამასა და ბაქრაძეს საუბარი მოუხდათ, საუბარი ჩხუბათ გარდაექცათ „ქართველი ქალები“ მე სულ უმნიშვნელოთ მიმაჩნია, სულ ბავშურს ბოდვათ. პატრიოტულს გოდებათ. მასში ისტორიის ჭეშმარიტების არაფერია დაცული. ესენი ისე აღელდნენ, რომ კინაღამ მისცვივდენ ერთმანერთს, პირველი მაგალითი იყო, რომ წყნარს დიმიტრის ცხოვრებაში ასეთი საქმე მენახა, უნდა ვსთქვათ, რომ ამ საქმის გამოწვევის მიზეზი სულ ჯანაშვილს ედება, ჯანაშვილმა ველარ მოითმინა, იმ დროს, როცა ბაქრაძემ უთხრა: — „რის ქალები, რის განათლება, რის პოლიტიკაო, საიდამ რა მოგიგონია მაგოდელი ამბებიო, ჩვენი ქალების განათლება!... განათლება პირ ბადე იყო, ხელში კრიალოსანი და „დავითნიო“. მე თვით ვარ ქართველ ქალების პატივის მცემელი, მაგრამ რაც შეეხება ჭეშმარიტებას, ეს კი ხელ შეუხებელი უნდა დაშთესო. მეცნიერული მოღვაწეობა რამე მიმხრეობითი მხარეს არ თხოულობს. თუ ასე დაიწყებს კაცი წერას, სჯობს, რომ მან ქადაგებაები სწეროსო. ჯანაშვილს ამაზე ჯავრი მოუვიდა და ბაქრაძეს უთხრა: თქვენ ქართველების არა კეთილ გზას ადგეხართო. როგორ, რითაო? ჰკითხა ბაქრაძემ, ამის პასუხი მისცა დიმიტრი ჯანაშვილმა, ბაქრაძემ უარი ჰყო. სულ უმნიშვნელოა თქვენი მოსაზრება და თქვენი წერილიც სრულს სიცრუეს წარმოადგენს, არ ვიცი, ვისთვის დასწერეთ მაგოდოლი წერილები, ისტორიის შესამატათ, ისე საკითხავათ თუ როგორ? ამ დროს ესენი უკვე ისტორიული კითხვების ახსნას მიეცნენ. ჯანაშვილმა სთქვა, რომ მე მხოლოდ ცნობები შევკრიბეო. თავის სტატიების მნიშვნელობისთვის მღვდელმა შაშკოვის სტატიებიც მოიყვანა, ტაილორის ანტროპოლოგია და სპენსერის სოციოლოგიის მა-

სალებიც. თუ ოდესმე გვეყოლებიან ესეთი პირები, მაშინ ჩემი სტატიები ამათ გამოადგებაო. ბევრის საუბრის შემდეგ როგორც იქმნა ესენი დაწყნარდნენ და თავთავიანთკენ წავიდნენ, ერთ-მანეთზე კი არა სასიკეთო შთაბეჭდილება შეიდგინეს.

იყო დრო და ეს დრო მე კარგათაც მახსოვს, როცა ერთმა ქართველმა მწერალმა დ. ბაქრაძეს მტრობაში ჩამოარ-თო ის ჰაზრი, რომ ეს ამბობს; ერთ თავის წერილში, რომ საქართველოდამ შაჰაბაზმა ას ოცი ათასი ქართველი გადაასახ-ლა სპარსეთშიო. ასეთი ცნობები ბაქრაძეს განგებ მოჰყავსო, რომ ქართველს ერს აჩვენოს თავიანთი უძლურებაო და მარ-თველობას კიდევ თავი მოაწონოსო. ბაქრაძის შესახებ ასეთი ცილის წამება ახალი ამბავი და საქმე არ არის. ამას 1872 წ. მოუგონეს, რომ ბაქრაძე ქართველების ისტორიის ცნობებს უკუღმართათ ხმარობს, სავნოთ ქართველებისაო. ეს განსვენე-ბულმაც კარგათ იცოდა. უნდა შევნიშნოთ, რომ პირველ ხანებ-ში, როცა ამის წერილები აქა იქ სხვა და სხვა რუსულს გამო-ცემაებში იბეჭდებოდა, მაშინ ამ პირს ჩვენში ქართველ მწერლა-თაც არ სთვლიდნენ. ერთი ამისი წიგნი 1881 წ. „ივერია“-ში მასხარათ აიღეს. მაშინ ამან სთქვა: მოდი და ახლა და აქ კაც-მა სწეროს რამე. ეს რომ რუსულს ენაზე დამეწერა, უფრო მეტი მნიშვნელობა ექმნებოდა და მეტიც გავრცელდებოდაო. ამ წლის გასულს თფილისში მოხდა არხეოლოგიური კრება. აქ იყვნენ მოსულნი ბევრი რუსის მეისტორიენი. გერმანიიდამ ვირხოვი. ყველა ქვეყნის წარმომადგენნი იყვნენ აქ. ამ კრებაზე მოსულ პირებმა დიდი პატივის ცემა აღმოუჩინეს ბაქრაძეს. ბევრნი არ-ხეოლოგები, მეისტორიენი და სხვანი პირველად ამასთან მოდი-ოდნენ სახლში, როგორც ქართველების ისტორიკოსთან და კავ-კაზიის არხეოლოგთან. რუსეთის და ევროპის მწერლებისაგან

ასეთი პატივდება ჩვენმა ქართველებმა კარგათ ნახეს. ამის შემდეგ კი ჰაზრები შეიცვალეს. ბაქრაძე სულ სხვა კაცათ მიიღეს. მეტი გზა არ არის, ჩვენი კაციაო. არ შეიძლება, რომ იგი მავნე იყოს და ამ მავნესთან იმდენ მეისტორიებს. ანტროპოლოგებს და ნუმიზმატებს მოეკრიბოთ თავიო.

ამ მაგალითის შემდეგ ბაქრაძეს აქა იქ ქართულს საზოგადო საქმეებთა კრებებზე მიწვევა დაუწყეს. ერთხნობით ეს „ვეფხის ტყაოსნის“ აღდგენის საქმეშიაც იღებდა მონაწილეობას.

დ. ბაქრაძე ბევრს თავის საყურადღებო მხარეებთან ძრიელ ხელ-გაშლილი პირი იყო რამე ხელის მოწერის დროს, ვისაც უნდა მიეტანა მასთან რამე, იგი ცარიელი არ გაისტუმრებდა. ასევე იცოდა თიატრის ბილეთების აღება, თუმცა თიატრში კი არ დაიარებოდა, რადგანაც მოცლა არა ჰქონდა. მისი სტოლი ყოველთვის სავსე იყო ახალ-ახალ რუსულ და ფრანგულს ენაზე დაბეჭდილ კავკაზიის და საქართველოს შესახების სამეცნიერო წიგნებით, ყველა ეს წიგნები მას დაბეჭვდის უმალვე მოსდიოდა. ერთათ ერთი ეს პირი იყო თფილისში, რომელიც მთელს ევროპის მწერლობას ავლებდა თვალ-ყურს, რასაკვირველია იმ ნაწერებს, რაც კი ჩვენის ქვეყნის შესახებ ნაწილს შეადგენდა. ბევრმა ორიენტალისტებმაც იცოდენ ბაქრაძის შესახებ, რომ თფილისში სცხოვრებს ესა და ეს მსწავლული პირიო. იმიტომაც იყო, რომ ამას ბევრის ევროპის მსწავლულებისაგან ისე სამახსოვროდ მოსდიოდა მათი თხზულებაები. ბევრნი იცნობდენ ამას და ბევრმა დიდათაც იწუხეს, როცა ამან ფეხი მოიტეხა. მოგეხსენებათ, რომ 1881 წ. არხეოლოგიური კრების შემდეგ მთელი კრება გელათში გაემგზავრა, ამათშივე ერია დიმიტრი ბაქრაძე, ამან რკინის გზის კიბეზე ასვლის თუ

ჩამოსვლის დროს ფეხი იტკინა, რამაც შეუშალა მას მოგზაურობაზე დასწრობა, ამან ძრიელ შეაწუხა ქართველობა და ნამეტურ კრებაზე მოსული პირნი. კოსტომაროვი, ილოვაისკი, ხვოლსონი და ბევრიც სხვები. ამაზედვე ძრიელ სწუხდა კრების თავსმჯდომარე. ამასვე საკმარისის პატივისცემით უმზერდა იმპერატორის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოება, პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოლოგიურის განყოფილებათა საზოგადოება, სადაც ხშირად კითხულობდენ ხოლმე საჯაროდ ამის წერილებს. ბაქრაძე თავის შრომაში სხვა მწერლებივით ფულებს არ სთხოვდა ხოლმე, ამის ჯილდო მათ ნებაზე იყო დამოკიდებული. ბაქრაძეს ძლიერ დაახლოვებული მიწერ-მოწერა ჰქონდა მარ. ბროსსესთან, ჩუბინოვთან კი ისე არა, ეს დიდათ ემდურებოდა ცაგარელს, მეგრული ენის აღორძინების საქმეთ სულ მას და მის მოღვაწეობას სთვლიდა. ისე არ მოიგონებდა ბ. ცაგარელს, რომ მასზე კიცხვა და გმობა არ დაეწყო. ისეა პეტერბურგში, არავერს აკეთებსო, მისი გაკეთებული მე ვერა ვნახე-რა, აგერ, მეგრული ეტუდები შეადგინა, ვითომც ფილოლოგიურს მეცნიერებას შესძინა რამეო. ის კი არა ვნების მეტი სხვა არა მოიტანარაო. მეგრულ ენის ანბანს მან დაუდო საფუძველი, კარგი ქმნა, რომ პატკანოვმა შეარცხვინა ისე, ამაზემეტის ღირსია იგი. ბაქრაძე ისე უკმაყოფილო იყო ცაგარელზე და მთლად ამის მოღვაწეობაზე, რომ სამჯერ ოთხჯერ „ივერია“-ში წერილებიც კი დაბეჭდა, თავის სახელისა და გვარის მოუწერლათ, ცაგარლის მოღვაწეობის დაწუნების შესახებ. შევიტყე, რომ ბაქრაძის ასეთი შეხედულება ცაგარელს კარგათ სცოდნიყო და ამიტომაც მოხდა, რომ როცა ბაქრაძე გარდაიცვალა, მის გარდაცვალებაზე ცაგარელმა კრინტი, ხმაც არ დასძრა. არ ვიცით, რათ მოიქცა ის უწესოდ და ასე გულ-ქვათ.

არ ვიცით ამ პირს რათ სწყინდა ბაქრაძის ასეთი ჭეშმარიტი საყვედურები. ბაქრაძე უკმაყოფილო იყო ცაგარელზე უფრო იმის გამო, რომ ცაგარლის მაგიერ პროფესორ პატკანოვს ბაქრაძეს მოუხდა პასუხის მიცემა, იმ ისტორიული წერილების, რომელიც პატკანოვმა დაბეჭდა სამინისტროს ჟურნალში, შესახებ საქართველოს ისტორიისა და რომელ წერილითაც პატკანოვმა „ქართლის ცხოვრების“ დაწერაც კი ერთ ვიღაცა სომხის ბერს აკუთვნა. სენკოვსკივით მთელი საქართველო სომხეთად აღიარა. რიგი იყო, რომ ამ წერილზე ცაგარელს მიეცა პასუხი, მაგრამ ამ პირმა ამაზე კრინტიც არ დაძრა, ბევრნი ამბობდნენ, რომ სჩანს ცაგარელი პატკანოვის ჰაზრის თანხმა ყოფილაო. პატკანოვს პასუხი მისცა ბ. დ. ბაქრაძემ. ეს პასუხი ჯერ „დროებაში“ დაიბეჭდა, მერე „ივერიაში“ და ბოლოს ცალკე, ამის თარგმანს რუსულადაც აპირებდნენ, მაგრამ არ იქმნა, სომხური თარგმანი ვინმე მესხისა დღეს ჩემს ხელშია, ასე მოექცა ცაგარელი პატკანოვის შრომას და ეს მისგან დიდს უკანონობაშიაც იქმნა მიღებული, მაგრამ ამასგანა ახლა ვიცნობთ, ამ პირს დიდი ხანია ვიცნობთ ჩვენა, მან თავის დრო მხოლოდ საბა ორბელიანის ზღაპრების რუსულად გადათარგმნას მოანდომა. ანტ. კათალიკოზის გრამატიკის გარჩევას, რომელი გარჩევა დღესაც მკვდარ გასარჩევად მევს. მას ქართულის გრამატიკულის ლიტერატურისათვის არაფერი სიკეთე მოუტანია. ცაგარელი მარტო ამით არ არის შესამჩნევი პირი, ამის საქმეები რომ არ ყოფილიყო, მაშინ პალესტინის საზოგადოებისაგან დ. ბაქრაძე გაიგზავნებოდა ათონს, სინაის მთაზე და ჯვარის მონასტერში ქართული ნაშთების გასაშინჯავათ, რომელიც ბევრათ ბევრს საქმეს გააკეთებდა. ბაქრაძემ სთქვა: დაე, ის წავიდეს, ნეტა გააკეთოს რამე,

მაგრამ საქმე იმაშია, რომ მისგან რამის გაკეთება საეჭვოთ მიმაჩნია. მაინც ეს ისე აღმოჩნდა და ცაგარელმა თავის ამ ყოფნის მეოხებით რამდენიმე მშრალ უსარგებლო ცნობებს გარდა სხვა არაფერი გამოაქვეყნა. ასრულდა ბაქრაძის თქმულება. ჩვენ ცაგარლისგან უფრო სხვა ცნობებს მოველოდით; ჩვენ მოველოდით ჯვარის მონასტრის აღწერას და მასში დასაფლავებულ შოთა რუსთველის ცნობებს, სადაც საფლავის ზემოთ ერთ კედელზე დახატული თვით ეს გამოჩენილი კაციც, მაგრამ ეს ისე არ იქმნა და ცაგარელმა გამოაქვეყნა ერთად რამდენიმე ისეთი ცნობანი, რაც ჩვენ მასზე ბევრათ ადრე ვიცოდით. აი რა ხდიდა ბაქრაძის თვალში ცაგარელს არა პატივსადებ პირათ და აი ან ჩვენ რათ უცქერით მას ასე;

ბაქრაძეს კეთილი ხსსიათები იქამდის იყო ჩვენში მოფენილი, რომ სჯცა კი მას მცნობ, თუ უცნობ ქართველებში სადმე რამე სადავო საქმე გაჩნდებოდა და საქმე მედიატორეთა გარჩევაზე მივიდოდა, იქ ბაქრაძეს უსიკვდილოთ ამოირჩევდენ. ამისთვის ხშირათ ბაქრაძეს დიდათაც აწუხებდენ, აქ ამას რომ მონაწილეობა არ მიეღო, მაშინ საქმეები ისე აიწეწებოდა, რომ ბოლოს საქმე ქართულის ყლეტა-წყვეტით გათავდებოდა, სწორეთ ასეთ დღეში ჩავარდა ერთი ქართული სტამბის საქმე და ამ ხაქმის გამრჩევთა დასში რომ ბაქრაძე არა რეულიყო, უამისოთ აქ საქმე სისხლით დაბოლავდებოდა. რაც აქ არეულ-დარეული ქაღალდები გაირჩა და ყველა ესენი ბაქრაძემ მოითმინა; ამაზე გაკვირვებული ვიყავ მე. ამბობდა: რას ვიზამთო. ასე რომ არ იქმნეს დ არ გაირჩეს, უამისოთ ერთმანეთის დავჭამთო. საქმის გათავების შემდეგ მოდავეთ თავის სახლში პატივი სცა, გახშამიც გაუმართა და ბოლოს სთქვა: —„ჩვენდა საუბედუროთ, მე ქართველებს ყოველთვის იმას ურჩევ, რომ ნურსად დ ნურასდროს

ნურა საქმეში ერთათ ნუ შეერთებიან, საცა კი ეს მომხდარა, იქ ყოველთვის საქმე დაფუშულა, ერთმანეთი კინაღამ დაუყლეტიათ და ბოლო'ს სადავიდარაბოთ გამხდარა საქმე. ამიტომ ისევ ჩვენი მამა-პაპური ჩვეულებას ვირჩიოთ და ცალკ-ცალკე ვიმეცადინოთ. ის რაც ევროპაში შეერთებულის ძალით უნდა გაკეთდეს, ეს ჩვენში განცალკევებულის თვითოეულის პირის მოქმედებით ხერხდება. ვსწუხვარ ამაზე, მაგრამ რასა იქმს კაცი. ეს არის ჩვენი უბედურება და ეს არის ჩვენი სენი, რომელიც ჩვენის მამა-პაპების დარღვეულის ცხოვრებიდამ ჩვენც გადმოგვცემია თითქოს მემკვიდრეობათ და ძვალსა და რბილშიაც შეგვთვისებია.!

ჩვენს სახალხო მწერლობის აღორძინებისთვის ეს დიდი მოწადინე იყო და მნატვრულად ეს ამბობდა; ჩვენთვის დღეის შემდეგ რიგიანი წიგნების ბეჭვდა დიდს საჭიროებას შეადგენს; ჩვენ უნდა ვმეცადინეობდეთ, რომ ჩვენს მდაბიო ხალხს პატრონობა გაუწიოთ. ამის გამო ეს დიდი მნატვრელი იყო და ჩვენ რომ წიგნის მაღაზია გავხსენით, ამან აქ თითქმის პირველ დღიდამვე დაიწყო სიარული და ჩვენს საქმეებში მონაწილეობის მიღება. ეს ისე არ გაივლიდა ჩვენსკენ, რომ ჩვენს მაღაზიაში არ შემოსულიყო, აქ რჩებოდა რამდენსამე ხანასა და საუბარს მართავდა ზოგი ერთს საგნებზე, ქართველ ახალგაზდა პირებთან. ამის მისვლა-მოსვლა, ყოჩაღათ სიარული და საუბარი ყველასთვის სამაგალითო იყო. 1879 წელს ჩვენ განვიძრახეთ, პირველ ოქტომბრისთვის, მცხეთაში სადილის გამართვა. ამისთვის ხელის მოწერა იყო გამართული. სხვათა შორის აქ დაესწრენ დიმიტრი ბაქრაძე, ან. ფურცელაძე, საწყალი სერგეი მესხი, კირ. ლორთქიფანიძე, გ. წერეთელი და მრავალიც სხვანი. დანარჩენი სამოც კაცზე მეტი სულ

მასწავლებლები და ხელოსანი ხალხი იყო. თავს მჯდომარეთ დ. ბაქრაძე ამორჩიეს. ამას დიდათ ესიამოვნა. სადილზე სუყველა ჩვენი მწერლების სადღეგრძელოები დალია. ბაქრაძემ ორჯერ-სამჯერ პატარ-პატარა სიტყვებიც სთქვა, ასევე საწყალმა სერგეი მესხმა. სადილმა მთელ დღეს გასტანა. სადილს შემდეგ მთელი მესადილენი ევროპიულს ტანთ-საცმლით ხელი-ხელს ჩაკიდებულნი ქართული სიმღერებით ეკკლესიას უვლიდნენ გარს, ხალხი ამაზე ძრიელ გაკვირვებული იყო, რომ რუსულ სერთუკიანები ქართულათ მღერიანო. აქ მეორე დიმიტრი ბაქრაძე ცხადათ დარწმუნდა იმაში, რომ ქართველებშიაც იწყებს საზოგადო ჭაზრების პატივის ცემის გაღვიძებაო. მე ეს შეყრილობა და ლხინი არასა დროს არ დამავიწყდება და ღმერთმა ქმნას, რომ ჩვენ ამ ჩვენის დედა ისტორიული ტაძრის გვერდით ყოველ წელს მაინც მოვიყაროთ თავი და ვიდღესასწაულოთო. ესეთი შეერთებული სადილი და პატივის ცემა მე არას დროს აღარ დამავიწყდებაო. ამ დღესვე ჩვენ ავედით მცხეთის გუმბათის სენაკში, სადაც ამ საუკუნის განმავლობაში ჯერ კაცის ფეხი არ ასულიყო, აქვე ამოვიდა გ. წერეთელი. სენაკებში ვნახეთ ერთი ძველი აკვანი და ერთი დიდი ყუთიც დოკუმენტებით და ძველი წიგნებით სავსე, ეს ყუთი და აკვანი 1795 წ. შემდეგ დარჩენილა იქ. ამ დოკუმენტებში და წიგნებში ბევრი შესანიშნავი რამ აღმოსჩნდა. რაც მოვიყვანეთ აქ ბაქრაძეს თვისებაების შესახებ გონი რომ კმარა იმის გამოსაჩენათ და დასასტავათ, თუ ეს პირი რა თვისებების და ხასიათების იყო. მოკლეთ რომ დავაბოლოვოთ, ეს მაშინ ასე გამოითქმება: გიყვარდეთ და შეიყვარეთ ერთმანეთი, პატივს სცემდეთ თქვენი შვილების განათლებას და განვითარებას, პატივის სცემდეთ მოქალაქობას, თქვენს ენას, მწერლობას და მღე-

დროებით სქესთ პირობებს. სხვა რამ თამაში, ცეკვა და აქეთ-იქით სიარული ამას არ უყვარდა, ერთ თავათ თავის კანდორკასთან იდგა და მუშაობდა ხოლმე.

როგორც უწყით, ბაქრაძემ წერილების წერა პირველათ 1847 წ. დაიწყო, რუსულათ და ამის ორი წერილი კავკასიის მთიულების შესახებ 1848 წ. ჟურნალ „სოვრემენიკში“ დაიბეჭდა, რომლის რედაქტორათ გამოჩენილი პანაევი ითვლებოდა. ეს წერილები საკმარისად საყურადღებოდ გახდა ბევრის აკადემიკოსისთვის და ბაქრაძე მცოდნე ყმაწვილ-კაცათ იცნეს. ამის შემდეგ ეს თავის წერილებს აქა იქ ბეჭდავდა. „სოვრემენიკიდამ“ ეს წერილები შემდეგ „კავკაზში“ გადმობეჭდეს. პირველი მაგალითი იყო, რომ იმ დროის რუსულს ლიბერალურს ჟურნალს „სოვრემენიკში“ ქართველი კაცის ნაწერი დაბეჭდილიყო. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ეს დაუახლოვდა გაზეთ „კავკაზს“ და პ. იოსელიანის „ზაკავკაზსკი ვესტნიკს“ კი არ მიეკარა ახლოს. მიზეზი ამისი ის იყო, რომ იოსელიანს არც პროგრამა ჰქონდა გარკვეული თავის გაზეთისა და ხშირად სხვა-და-სხვა ნაირი სჯაც იცოდა, ისტორიულს ცნობებთან ეს რამე საკვირველ მოქმედებასაც ურევდა. ამიტომაც იყო, რომ ბაქრაძეს „კავკაზში“ დაუწყვია შრომა: აქ ამ გაზეთში ასეთს მოსაზრებას ხომ მაინც არ ექმნება ადგილი. აქვე შრომობდა მის ნაამხანაგარი ნ. ბერძენოვი, ქართულს ისტორიაში ამაგდარი. ამ ნიკო ბერძენოვის შესახებ ჩვენ თავის ალაგას გვაქვს ნათქვამი და მკითხველს გავაცნობთ. ბაქრაძემ მუდმივ დაიწყო შრომა 1850 წელს. გაზეთ „კავკაზში“ დაბეჭდა სცენები ქართველ ხალხის ცხოვრებიდამ. აქედამ სჩანს, რომ ბაქრაძეს ქართველი ხალხის ცხოვრება კარგათ სცოდნია. 1851 წ. დაბეჭდა „საქართველო და ქართველი ერი“ სადაც ბევრი რამ საისტორიო-

ცნობების შეტანილი. ამავე დროს დაიბეჭდა მისი წერილი სახელათ „დუქანი და ფურნე“ ეს ამბობს, რომ სიტყვა ფურნე ქართულის პურიდამ არის წარმომდგარიო. ამას შემდეგ დაიბეჭდა „ოსები და მათში გავრცელებული გიორგიანთ სექტის“ აღწერა. 1853 წ. ქვემო ქართლის აღწერა. გორის ციხის ისტორიული აღწერა და სხვანი. 1856 წ. დაბეჭდა „ლაზიკა და მის დამოკიდებულება ვიზანტიელთ წინაშე“ 1859 წ. ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა მისი წერილი ქართულს ნუმიზმატიკაზე. 1860 წ. ჯვარჩია „კალმასობა“ და ეს გარჩევაც ამავე ჟურნალს „ცისკარში“ დაიბეჭდა. რაც ღირსია ყურადღებისა. 1860 წ. დასწერა რუსულად „ბაგრატ მეოთხე“ ანუ მეთერთმეტე საუკუნის აღწერა და აქედამ მალე ქართულადაც გადასთარგმნა და 1861 წ. „ცისკარში“ დაბეჭდა. ამის შემდეგ ამან აღწერა სვანეთი, რომლის მოგზაურობა ერთს განძს წარმოადგენს. ამის შემდეგ მთელი რიგი სტატიები იბეჭდებოდა გაზეთ „კავკაზში“ ამანვე დაბეჭდა „ცისკარში“ დავით აღმაშენებლის კრების ძირი. 1866 წ. რომ თფილისში ქართული გაზეთი „დროების“ გამოცემა მოიწადინეს, ამისთვის სტამბაც დააარსეს. ბაქრაძემ ამ სტამბის და გაზეთის დაარსებაში დიდი მონაწილეობა მიიღო და „დროების“ ერთ უმთავრეს თანამშრომლათ ირიცხებოდა. ამის წერილები აქ პირველის ნომრიდამ იწყეს ბეჭვდა და 1871 წ.-მდე „დროებაში“ არ შეწყვეტილა მისი შრომა. „დროების“ შემდეგ „მნათობი“ დაარსდა და პირველ წელს კი არა და მეორე წლიდამ აქაც მიიღო მონაწილეობა და ვიდრე „მნათობი“ არსებობდა, მანამდის აქ მისი სტატიების ბეჭდვა არ შეწყვეტილა. „მნათობის“ დახურვის შემდეგ ამან მონაწილეობა მიიღო გაზეთ „ივერიაში“ და აქ ამისი მთელი რიგი ისტორიული წერილების დაბეჭდილი. „ივერიის“ შემდეგ ეს 1880 წ.

ისევ „დროებას“ მიუბრუნდა, ძველი მეგობრობა გაიხსენა, გაიხსენა ის ორგანო, რომელიც მისის მშვენიერის სტატიებით არა ერთხელ გამშვენებულა ამ გაზეთის ფურცლები. ასეთ მშვენიერ სტატიებათ მე შემიძლიან დავასახელო 1866 წ. „დასავლეთის ევროპის ერის გონებითი განვითარება“ სადაც სხვათა შორის აქ ეხება გერმანიის მუშა ხალხს, პეიფერის მოძრაობას, ლასალის, შულცე დელიჩის და სხვების. აქ ბაქრაძეს უმთავრეს მიზანს კი ის შეადგენს, რომ მკითხველს უჩვენოს ის, თუ გერმანიაში რა გვარ სცხოვრებს მუშა ხალხი. 1870 წ. დაიბეჭდა მეორე ამის ჩინებული წერილი სახელდობ „საქართველო“ რამდენსამე ნომერში. აქ დაბეჭვდის შემდეგ ეს სტატიები ცალკე წიგნათ გამოიცა, ეს ისტორიული წიგნი ჩვენს მწერლობაში შესანიშნავ მოვლენათ ჩაითვალა. სწორეთ ცის მანანას მსგავს მოვლენათ იქმნა ეს. ამ დრომდის ჯერეთ ქართულს მწერლობას ასე დაწერილი წიგნი არ ეხილა. ეს წიგნი გაარჩია იმ დროის ჟურნალს „მნათობში“ ბ. ან. ფურცელაძემ. დ. ბაქრაძეს ქება მიუძღვნა, ამან ბაქრაძე ბევრნაირის მხრით დრეპერს და ბოკლს შეუწონა, შეუწონა იმ ღირსებებით, რაც კი ამ კაცს მოუძებნა და უპოვნა. ამაზე იმ დროის ჟურნალ „კრებულში“ წერილი დაიბეჭდა ფურცელაძის წინააღმდეგ. წერილი ეკუთვნის ჩვენს ნიჭიერს მწერალს ნ. ნიკოლაძეს. ამან შენიშნა ფურცელაძეს, რომ ბაქრაძის პატივის მცემელი მეც ვარო და მის სახელის ხსენებას მე უბრალოთ არავის დაუთმობო, მაგრამ ზოგი ერთ არც იმის ნებას მივსცემთ, რომ ეს ვინმემ აქოს და ამ ქებით ისე პატივი არ სცეს, როგორც შეურაცყოფის მიყენებაო. შენ უფლება არ გქონდა, რომ ბაქრაძე დრეპერზე მაღლა დააყენეო. ამაზე ბევრი წერა და ოხუჯობა მოუხდათ. არ შემიძლიან არ მოვიყვანო აქ ერთი ტაეპი, რომელიც ბაქრაძის

გამო ნიკოლაძემ ფურცელაძეს მუძიღვნა „დროების" ერთ ფელეტონში აი:

„ისტორიკოსნი შემოკრბენ ამაზედ ჰქონდათ მსჯელობა,
ხუთ ფარსათ ბროსე დაფასდა, ორ ფარსათ ბოკლის მწერლობა,
გიზო არაფრათ ჩააგდეს, დრეპერს დაარქვეს ყალბობა,
და ჩემი „საქართველოსი" იქ აღამაღლეს ხელობა".

ბაქრაძის წიგნი „საქართველოს" გამო ზოგნი ნიკოლაძის წერილს და შენიშვნას ამართლებდენ და ზოგნი ფურცელაძისას. ვინც ფურცელაძეს ეთანხმებოდენ, ისინი ამბობდენ, რომ დიახ, ბაქრაძე დრეპერს მიტომ ვერ შეედრებაო, რადგანაც რაზედაც დრეპერს იქ მეცნიერულად სჯა მოუხდება, იმის მაგიერ აქ ბაქრაძემ ის უნდა ამტკიცოს, რომ ორჯერ ორი ოთხიაო. ამ წიგნის შემდეგ პეტერბურღში დაიბეჭდა რუსულს ენაზე თფილისის ისტორიული ნაწილის აღწერა, რომელიც ბაქრაძეს ეკუთვნის დ ეტნოგრაფიული ნ. ბერძენოვს. ეს აღწერა სომხებმა სომხურს ენაზე გადასთარგმნეს და სტამბოლში სომხურს ენაზე დაბეჭდეს. ამ დროს ბაქრაძე უკვე მუშაობდა კავკაზის აქტების მასალების შედგენაში და ქართულიდამ რუსულს გადათარგმნაში. ერთს „აქტების" წიგნში დაიბეჭდა ვრცელი აღწერა საქართველოს და სომხეთის ეკლესიების აღწერისა, რომელიც საკმარისად ვრცელი წიგნია და ბოლოში ორი სამი ქარტაც აქვს. ეს აღწერა შემდეგ წლებში ბევრმა გადააკეთეს თავიანთებურათ და ისე აღწერეს მზა მზარეული საქართველოს ნაწილები. ამ აღწერის გამო მეტათ უსდელათ მოექცა ბაქრაძეს უსდელი და მწერლობის ქურდი ად. ბერჟე, მთელი კავკაზიის საისტორიო მასალები ამან გაქურდა, გაყვლიფა, ქართული ენა არ იცოდა და ქურდბაცაცობით საქართველოს ისტორიულს წერილებს კი სწერდა. ამ ურცხვმა და უსდელმა ბაქრაძეს და ბერძე-

ნოვს ძრიელ ბევრი ისტორიული ცნობები მოჰპარა. საწყალი ნიკო ბერძენოვი ამან მოკლა. ყოველთვის ამას ამბობდა ბაქრაძე, ამან მოკლა ნ. ბერძენოვიო. ასევე სურდა, რომ ბაქრაძეს მოქცევიყო. რაკი „აქტები“ ამის ხელქვეშ გამოდიოდა, ამიტომ ბაქრაძისაგან დაწერილს საქართველოს დ სომხეთის ეკკლესიების აღწერას თავისი სახელი მიაწერა. ამ წიგნზე ბაქრაძის სახელის გვერდით ქურდ-ბაცაცა ბერჟეს სახელი ისეთ ნაირათ არის მოხერხებული, რასაც კაცი ვერ გაარჩევს და ვერ გაიგებს, თუ აქ ამას რა ხელი და საქმე აქვს სხვის შრომაზედ. ამის შემდეგ პეტერბურგში დაიბეჭდა ბაქრაძის „არხეოლოგიური დ ისტორიული მოგზაურობა გურია-აჭარაში“. ეს წიგნი ბაქრაძის ნაწერებში ერთ თვალსაჩინო წიგნათ ჩაითვლება, ეს წიგნი არის სალარო გურულთა და აჭარის ერის ისტორიისა. ამ წიგნიდამ ძრიელ ბევრი ადგილები ნიკოლაძემ გადაბეჭდა „ობზორში“ და მესხმა „დროებაში“. 1880 წ. ამან წაიკითხა ერთი წერილი კავკასიის გეოგრაფიულს საზოგადოების დარბაზში, ქობულეთის დ აჭარის შესახებ ახალი მოგზაურობა. ეს მოგზაურობა მოხსენებათ წაიკითხა და ამ მოხსენების რამდენიმე ადგილი „დროებაშიაც“ იყო დაბეჭდილი. ამის შემდეგ ბაქრაძეს სურდა რომ ჟურნალს ,,იმედში'' მიეღო თანამშრომლობა და ამის პირველი წერილი: ბაგრატოვანთ შტოს დასაწყისი ერთ ნომერში დაიბეჭდა კიდეც, გაგრძელების დაბეჭდვა კი აღარ მოხერხდა, რადგანაც ამ ჟურნალის სამტროთ ამას აქეთ იქიდამ რაღაც შური ჩაასმინეს. ამავე დროს ეს ამზადებდა რამდენსამე წერილებს, რომლებიც უნდა დაებეჭდათ ,,კავკასიის არხეოლოგიურს ცნობებში'' რომლის რედაქტორათ ბაქრაძე და ვეიდენბაუმი იყვნენ. ამ კრებულის მათ სულ სამი წიგნი გამოსცეს და მასში ძრიელ ბევრი წერილების საქართველოს შესახებ დიმ. ბაქრაძისა. ამავე დროს დ.

ბაქრაძე მეტის მეტათ დაუცხრომელათ მოღვაწეობდა თავისგან დაწყებილ პალეოგრაფიულს შრომაზე; ამ შრომისთვის მას დიდათ დაეხმარა ის ძველი სახარებაები, რომლებიც ქსნის ხეობაზე აღმოჩნდა და რომელი სახარებაებიც მე გარდავეცი მას. ამ ნაშთების მოპოვებით ქართული ანბანის საქმე ორი საუკუნით უფრო შორს გასწია, თითქმის მეშვიდე საუკუნემდის მიაღწია და გარდა ამისა ამით ხუცურის პირველობაც დამტკიცდა მხედრულზე. 1886 წ. გამოვიდა თფილისში ვახუშტის გეოგრაფია, გამოცემა გ. ქართველიშვილისა, ბაქრაძის რედაქტორობით. ამ შრომაზე ბაქრაძემ მეტათ დიდი შრომა დასდო. კაცი განცვიფრებაში მოდის, როცა ამ წიგნში ბაქრაძის მიერ შეტანილს ცნობებს ხედავს. აქ იმდენი შენიშვნებია მოთავსებული, რომ მის საშუალებით ბაქრაძეს სრულიად ახალი თხზულება შეეძლო დაეწერა. 1887 წ. გამოვიდა ვახტანგ მეფის კანონები, რომლის შენიშვნებზედაც მეტათ დიდი ცნობები მიუძღვის. ამავე დროს პეტერბურგში დაიბეჭდა ორი მისი წერილი შესახებ საქართველოს ისტორიის წყაროების. ესევე მონაწილეობას და თანამშრომლობას იღებდა „თფილისის მოამბეში“ „იურიდიულს ობოზრენიეში“ „ახალს მიმოხილვაში“ და ერთხნობით გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორათაც იყო. გარდა ამაებისა ამის ისტორიული ცნობებით, შენიშვნებით და გარჩევებით სავსეა მრავალი სხვა და სხვა პირთა მიერ გამოცემული ისტორიული წიგნები. უკანასკნელს ხანს კი ამან გადასწყვითა ვრცელი საქართველოს ისტორიის დაწერა, მაგრამ მაინც, ვერ ბედავდა, შიშობდა, ჯერ-ჯერობით ყოვლად შეუძლებელია, რომ აქ რიგიანი ისტორია დაიწეროსო, რადგანაც აქ ჯერეთ ისტორიული მასალები არ არის შეკრებილიო! ამ ისტორიის დაწერას მე ისე ვერ გავბედავ, თუ სტამბოლში არ წავედ და ოსმალეთის სა-

ხელმწიფო არხივში დასავლეთ საქართველოს ნაწილის ქართველ ბეგების სიგელ-გუჯრები არ გავშინჯეო. იქ წასვლა მან მოა-ხერხა კიდეც თვისი თანამდებობის მინდობილების მეოხებით. ეს წავიდა სტამბოლს, იქ დიდის პატივით მიეგებნენ ჩვენი მოძ-მე სომხები, ამათ თავიანთის ნაციონალურის საზოგადოებისა-გან დეპუტაცია მიუგზავნეს, სიტყვები უთხრეს, პატივი სცეს და მის შესახებ გაზეთებშიაც ბევრი სწერეს. ამის ამბები ხომ ჩვენშიაც მოვიდა. ბაქრაძემ მოისაქმიანა იქ და შემდგომ ამის დაბრუნდა საქართველოში; აქ მოსვლის შემდეგ კი მან საქართ-ველოს ისტორიის პირველ ტომის დათავებას მიჰყო ხელი და მალეც გაათავა. პირველი წიგნი, რომელიც შეეხება მეათე საუ-კუნის გასვლამდის, გამოიცა 1889 წ. მშვენიერათ დაბეჭდილი. ადგილობრივ გაზეთებში ამას საკმარისი პატივის ცემა აღმოუ-ჩინეს. ამ ისტორიის შესახებ ვიტყვით ჩვენ: რომ ეს წიგნი თავის ისტორიულის ცნობებით სალაროა სწორეთ, ვინც კი წაიკითხავს და გაიცნობს ამ ისტორიის პირველს ტომს, ის ამაზე ცხადად დამერწმუნება. რაც ამ პირველს წიგნში ცნობე-ბია შემოკრებილი, ყველა ქართული საისტორიო წიგნები რომ ერთად შეკრიბოთ და გადაშინჯოთ, თქვენ იქ ამოდენს ვერა-ფერს ჰპოვებთ. გარდა ამის ეს ისტორია დაწერილია ისე, რომ ლის მსგავსად წერა ჩვენში ჯერ-ჯერობით ბევრს ვერც ეხერხება და არც ეჭაშნიკებათ. სხვა და სხვა ღირსებასთან ბაქრაძეს ერთი-ის ღირსებაც აქვს, რომ ეს თვის ისტორიას ევროპის მსწავ-ლულთა ცნობებზედაც აფუძნებს. ამის ნაწერებში თქვენ შეხვ-დებით ლაელის სახელს, შლეიდენისას რენანს, დრეპერს და ბევრსაც სხვებს, რომელთაც ბევრი ჩვენი მეისტორიენი უნდოს ფვალით უმზერიან. გარდა ამების, ბაქრაძე მეტის მეტი ფრთხი-ლი პირია სხვა და სხვა ტომთა შესახებ საუბარში და პასუხ-

ბის ძლევაში, ეს არას დროს არ იკადრებდა, რომ ვინმე ტო-მის ერთვნების მწერლობის ღირსებას უწესოდ მოეპყრობიყო. არა, ეს ყველას პატივს სცემდა და ყოველი ერის ნაკლულევა-ნებას საკმარისის ზრდილობით აღნიშნავდა. ამისი წერილი სო-მეხთ მეცნიერ მსწავლულ ემინის 50 წლის დღესასწაულის გა-მო „ივერია“-ში სწორეთ საგანგებო და სანიმუშო რამ არის. ბაქრაძემ იცოდა ყველაფერი კარგათ, რომ თუ არა მეცნიერუ-ლის და ზრდილობიანის მსჯელობით, კიცხვით ხომ სულ არაფე-რი გაკეთდება. ასეთ გზას ადგა და ამიტომაც იყო, რომ სტამ-ბოლში მას თვით სომეხთ პატრიარხიც კი მიეგება. ასევე ვინც-კი საქართველოში ევროპის ან რუსეთის მეცნიერი დ ორიენტა-ლისტი მოვიდოდა, პირველად ამას ესტუმრებოდენ დ ნახავდენ.

ჩვენდა საუბედუროთ, ერთათ ერთი ამისი და ჩვენი დანაკლისი ის იყო, რომ ამან თავის ისტორიის გათავება ველარ მოასწრო, თუმცა მეორე წიგნი კი დაწყობილი ჰქონდა, ამის ჯავრი საწყალს თან გაჰყვა და სიკვდილის დროს ეს ისეთ მდგომარეობაში ჩავარდნილა, რომ ერთავათ სულ ლუღ-ლუღებდა და სხვა და სხვა ისტორიულს ცნობებს ახსენებ-და. რამდენათაც ჩვენ დაგვაკლდა, ამაზე უარესად თვითონ გაჰყვა ჯავრათ ის, რომ მან იმ ქვეყანას და ერს, რომელსაც 40 წელიწადი ემსახურა, უკანასკნელ საქართველოს ისტორიის დამთავრება ველარ მოუსწრო. დღეის შემდეგ რამდენი ცნობა უნდა აირიოს და დაირიოს, რომ მას მალე გარკვევა ველარ ელი-რსება, რამდენი ძველი ნაწერი დაშთება და რამდენი სიტყვა გადასხვაფერდება სხვა ნაირათ, კიდრე ბაქრაძესავებ მცოდნე პი-რები არ გამოვლენ. გამოსვლა კი ადვილია, მაგრამ მასწავლებე-ლი არ უნდა. ვინ არის მასწავლებელი მერე, რომ ასწავლოს.

უკანასკნელ წელს დ. ბაქრაძე კანდაკოვით მოგზაურობდა გურია-

ში, იქ ქსენი სწერდენ გურიის ეკკლესიის ხატების მხატვრობას და წარწერაებს. მგზავრობაში ერთ ალაგას წყალში ჩავარდნილიყო. ბაქრაძეს წყალში გარგახსნს ქვლო ფეხით და ცოტა არ იყოს შესცივნიყო კიდეც. თფილისში დაბრუნდა, ამან თავის შრომას მიჰყო ხელი. მალე განდაკოვის შრომა გაათავა და პეტერბურგში გაუგზავნა დასაბეჭდათ, ამის შემდეგ ქს მუშაობდა თავის აუარებელს ისტორიულს მასალებზე, ამ დროს გახდა იგი ავათ და 10 თებერვალს, 1890 წ. გარდაიცვალა. ამის გარდაცვალების ამბავი დიდის მწუხარებით მოისმინა მთელმა ქართველობამ და 13 თებერვალს დიდის ამბით და ცრემლოხიით დასაფლავეს დიდუბის ტაძრის გალავანში. დასაფლავებაზე დაესწრო მთელი თფილისის ქართველობა, მრავალი დეპუტაციები სხვა და სხვა ქალაქებიდამ მოსული. სიტყვა წარმოსთქვეს: გ. წერეთელმა და ნ. დადიანმა. ამათ ილაპარაკეს ბაქრაძის ღირსებაზე. აკაკიმ ლექსი წაიკითხა. ასე და ამ გვარის პატივით და მწუხარებით გამოესალმა ქართველობა იმ საყვარელ თავის ქვეყნის ისტორიის მწერალს, რომელმანც ორმოცი წლის განმავლობაში დაუცხრომლათ ემსახურა თავის ქვეყანასა და ერს.

შემდეგს ორს საგანზე შენიშვნის მოყვანა თავის ალაგას ვერ დაგვავიწყდა. როცა მე ალექსანდრე ორბელიანის სტატიას „ბატონ-ყმობა საქართველოში“ ვბეჭდავდი, მაშინ ბაქრაძეს ვკითხე თავის აზრი ჩვენს ბატონ-ყმობაზე. ამან აღიარა: ჩვენთვის ბატონ-ყმობა მით იყო ცუდი, რომ გარშემო მაჰმადიანთ სამეფოები გვეკრნენ, ისინი ჩვენ ქალებს ეტრფოდენ თავიანთის სისხლის გასაუმჯობესებლათ და ჩვენნი მებატონენიც თუ ჰყიდდენ რასმე, პირ და პირ ამ ქვეყნებში მიერეკებოდენ და ჰყიდდენო. რუსეთი კი ამით ბედნიერი იყო და იქ თუ მებატონენი ჰყიდდნენ, მათ ისევ რუსის ვაჭრები ყიდუ-

ლობდნო. ქართველები კი საქართველოს მუმუდამ ეგლიჯებოდა და ეს მოგლეჯილი ღვიძლი შვილები სპარს ოსმალში ელუპებოდათ, რითაც დიდი ვნება მოსდიოდა საქართველოსა. გარდა ამაების, რაკი ყმებმა იცოდნენ, რომ სათათრეთში გაქცევის მეოხებით ესენი განთავისუფლდებოდნენო, ამიტომ ესენი საქართველოდამ სათათრეთში თავიანთ ნებითაც მირბოდენ, იქ თათრის სჯულს იღებდენ და მით თავისუფლდებოდენო. საზოგადოთ რომ ითქვას, ჩვენებურს ბატონ-ყმობაზე მრიელ ცუდის შეხედულების იყო და არ მოსწონდა. ასევე არ მოსწონდა ის მეისტორიე მწერლები, რომლებიც ერთსა და იმავედროს საქართველოს ამაღლებულთაც აწერენ, აქებენ, ადიდებენ და იმავე დროს ეს მათგან ნაქები ერი და ქვეყანა კი ოსმალსპარსების ფეხქვეშ უწყალოთ იყო შთავარდნილი და ამ საუკუნის პირველ წლის მოწყალების მოვლენა რომ არ მოვლენიყო, მაშინ ის სრულიად აღიგვებოდა დედამიწის პირზე და გაწუდებოდაო. ამბობდა: მე ესეთი მეისტორიები არ მომწონს და იგინი ერთის ხელით ორს საგანს ემსახურებიან და ამ სამსახურით საქართველოს ერთის სიტყვით თუ აქებენ და ადიდებენ, მეორეს სიტყვით მას მეტათ უძლურს და შესაბრალის მდგომარეობით ხატავენ და თითქმის სპარს ოსმალთა წინაშე აუარებელს მონებაში შთავარდნილსო. ეს არ არის კარგიო. ასე სჯასა და საუბარს ყოველი მეისტორიე უნდა სიფრთხილით ეპყრობოდეს და მასთანვე უნდა ესმოდეს ისტორიული მწერლის მოვალეობაო.

ერთხელ სასოფლო სკოლების შესახებ გვქონდა საუბარი და ამან სთქვა, რომ ჩვენ უნდა ვეცადოთ დ ჩვენს ქადაგებათ გაზეთებში სულ სკოლის საქმეები უნდა გავიხადოთ. უნდა ვეცადოთ, რომ თითქმის ყოველს სოფელში გავხსნათ საერო სკო-

ლები და ხალხში კითხვა გავრცელდეს. ეს არის ერთათ ერთი ჩვენი იმედი, ძალა და იარაღი, ჩვენის გლეხ-კაცის შვილების განათლებით ჩვენ წინ წავალთ ყველაფრით, წინ წავალთ მეურნეობით, რადგანაც ეს ხალხი ძველადგანვე მეურნეობას არის შეჩვეული, წინ წავალთ ვაჭრობით, რადგანაც ამათი შვილები ვაჭრობასაც ადვილათ ეთვისებიან და აქამდისაც წავიდოდით ამითი ჩვენ წინა, რომ ჩვენს ბატონ-ყმობას არ დაეკავებინა ეს ბედკრულნი და დამონავებული არ ყოფილიყვნენ. ჩვენმა ბატონ-ყმობამ დიდი ზარალი მოგვცა, ამან დაგვღუპა, ამან დაგვანელა. ჩვენი გლეხ-კაცობა ამისაგან ხელ-ფეხ შეკრული იყო, არსად გასვლის თავისუფლება არ ჰქონდათ და მათ მაგიერ ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ სომხის ვაჭრობა მიდიოდა წინა. ჩვენის სარგებლობით ამათ ისარგებლეს და ჩვენს ქვეყანაში ამათ წადგეს ფეხი წინა. ამიტომ უნდა ვეცადოთ და ვიშრომოთ, რომ ყველა სასწავლებლებში გლეხი-კაცის შვილებს მივსცეთ შესვლის საშუალება, ვეცადოთ, რომ ყველა სასწავლებელში ესენი გამრავლდენ, ესენი წავიდენ წინ, ამათი რიცხვი საქართველოში დიდიც არის შედარებით სხვა ტომის გლეხებთანა და თუ ეს მოვახერხეთ, მაშინ დაგარწმუნებთ, რომ ჩვენ აღარაფრის შიში აღარ გვექნება და ბევრს განათლებულს ერს მხარდა-მხარ ცხოვრების გზაში ჩაუდგებით და გაუთანასწორდებითო. ასეთის შეხედულების იყო ამაზე დ. ბაქრაძე და ამიტომაც იყო, რომ თავის სახლის მოსამსახურეთ ამას სულ სოფლის ბავშვები ჩამოჰყვანდა, ორ-სამ წელს თვით იმსახურებდა, წიგნს ასწავლიდენ, აცმევდენ, ხურავდენ, პატრონს ფულს აძლევდენ და ბოლოს ამ ბოვშვს, როცა კი ხანში შევიდოდა, ხელობაზე აძლევდნენ, რამდენი არიან დღეს ამის სახლიდამ გასულნი და თფილისში დაცოლშვილიანებულნი. რამდენ ამათაგანმა დაიტირა ეს პატივცემული გვამი, ამას რიცხვი არა აქვს.

რომელ ერთის მხრით მოვიგონოთ ეს პატიოსანი პირი, რომ ჩვენ გულს არ დაგვაკლდეს. ნეტა ის მაინც დასცალებოდა, თავის წადილი აესრულებინა და საქართველოს ისტორია დაემთავრებინა. უკანასკნელ ეს ძალიან მოწადინებული იყო ამის. სიკვდილის დროს ამას ისე თავის თავი არ აგონდებოდა, როგორც ისა, რომ საქართველოს ისტორია დაუმთავრებელი მშთება. ბევრი ცნობები ჰქონდა განსვენებულს გაცნობილი და გასარკვევი. მაგალითად: ქართული საიდუმლო ანბანის ისტორიის, რომელი ანბანიც ჩვენი მეფეების დროს იხმარებოდა სამეფო პირებისაგან. ეს ანბანი დღეს ჩვენთვის უცხოა და მის კითხვა არავინ იცის, არც ხჩანს საღმე. განსვენებულს ამ ანბანის ასოების და განვითარების ისტორიის განხილვაც უნდოდა. ეს სამუდამოდ დააბოლავებდა ქართული ანბანის ისტორიას. პირველად ამან შემოიღო ხმარებაში „ვეფხვის ტყაოსნის“ მაგიერ „ვეფხის ტყაოსანი“. ეს მან ერთ ძველს არტაანულს „ვეფხის ტყაოსანში“ მოიპოვა. მანვე გაარკვია სიტყვა „ნაბიჭვარი“ და იხმარა „ნაბიჭვარი“ ვახტანგ მეფის კანონებში.

ზოგიერთნი ამბობდნენ, რომ ბაქრაძე საეკკლესიო მეისტორიე არისო, ამათ დაეხმარათ ის გარემოებაც, რომ ბაქრაძემ საქართველოს ისტორიის პირველი წიგნი დაბეჭდა. პირველი წიგნი მართლაც და საქართველოს ისტორიის საეკკლესიო ნაწილსაც შეეხება. მაგრამ რას იზამდა ბაქრაძე, ამის არიდება არც სხვა მეისტორიესაგან იქნებოდა, თუნდ იგი ბოკლი, დრეპერი და ლუიბლანი ყოფილიყოს. ჩვენის ერის პირველ საუკუნოების ცხოვრების შესახებ ჩვენ სხვა არაფერი ცნობები გვაქვს. ეს არის ერთად ერთი ძალა და ისტორიული გასაღები, რომელიც უცხო ტომთ მწერალთ თქმულების შედარებით ჩვენის ერის პირველ საუკუნოების ისტორიის მასალათ დაშთება. ბაქ-

რაძეს რომ დასცალებოდა, ის თავის ისტორიულს შემძლებლობას და ცოდნას შემდეგ ტომებით გამოაჩენდა: ეს მის ისტორიის წესდებამაც გვამცნია. შემდეგ ტომებში ჰსურდა ესაუბრა ასე, როგორც ამ დროის მეისტორიესაგან მოითხოვება. აქ ვრცელს ადგილს იჭერდა მაღალი და დაბალი წოდების ისტორია, მიწათ მფლობელობა, კანონმდებლობა, მწერლობა, განათლება, ექიმობა, ძველი ქართული ოჯახის მიმოხილვა და მრავალიც სხვანი, რომელნიც დაკავშირებულ იქმნებოდნენ მატემატიკურს მოძღვრებასთან, ვარსკვლავთ მრიცხველობას, ფიზიოლოგიას, ანატომიას და სხვებთან.—თუმცა ასე დაწერა ჩემთვის ერთობ ძნელია,—ამბობდა განსვენებული, მაგრამ უამისობა არ შეიძლება, გარემოება როგორც ნებას მოგვცემს, ისე უნდა მოვახერხოთ. ვარსკვლავთ მრიცხველობის შესახებ ეს ისე მეცადინეობდა, რომ საქართველოში მეჩვიდმეტე საუკუნეში მომხდარ მზის დაბნელებაც-კი გაარკვია ერთ თავისს წერილში, რომელიც ევროპაში ერთის მატემატიკურის ვარსკვლავთ მრიცხველის ბ: სავიჩინაგან არის შემოწმებული. აქვე დაიკავებდა ვრცელს ისტორიას ქართველთ ვარსკვლავთ მრიცხველების და მეთერთმეტე საუკუნეში თბილისში არაბთაგან დაარსებულის ვარსკვლავთ მრიცხველურის ობსერვატორიის შესახებ, რომელ ობსერვატორია ყველა აზიის ქალაქების ობსერვატორიებზე უფრო განთქმული ობსერვატორია იყო. ამაზე მცირე ცნობა შლოსერსაც მოეპოვება. ბაქრაძეს ობსერვატორიის სახელიც-კი ჰქონდა მოპოვებული ქართულის ძველის წიგნებიდამ. პირველი ტომი მასალა არისო, შემდეგ იქნება ისტორიაო.

მაინც ამის პირველი ტომი საყურადღებო განძია ჩვენს ისტორიულს მწერლობაში. აქედან მკითხველი მშვენივრად გაიცნობს საქართველოში მყოფ ერთ დიდის გარის ღვაწლს, ერთს

გვარის წევრთ ამაღლებას და მძლავრობას, მეორის დამდაბლებას და უძლურებას, რომელთაც ჩვენს წარსულს დროებში უცხოვრიათ, უმუშაკნიათ და თავიანთის სახელის მოსაგონად ათას ნაირი ნაშთები და ძეგლებიც უკეთებიათ. აქედამვე კარგად სჩანს ყოველი მიზეზი ჩვენის პირველ საუკუნეების სიმძლავრის და სწავლა-განათლების, და ისიც, თუ შემდეგს დროებში როგორ უნდა მომზადებულიყო საქართველოს დაცემის და უძლურების მიზეზნი. ამისთვის კმარა ჩვენ გავიცნათ მისი ცნობები მხოლოდ ჩვენის საეკკლესიო ისტორიის მხრით, ბერ-მონაზნების გავრცელებით, განდეგილებით და სხვებრ, რომელიც ერთ დროს საქართველოში მეტის მეტის დიდებით ბრწყინავდა და რომელთაც ამ მშვენიერს, ძველად ვრცელს, ამაღლებულს და რომთან და ათინასთან თანასწორ საქართველოში უცხოვრიათ.

ბაქრაძეს ისტორიას თუ რამ ნაკლულევანება აქვს, ვიტყვით იმასაც, რომ უნაკლულო არავინ არის. თვით გამოჩენილს ბოკლსაც-კი შენიშნეს მრავალთა დიდთა მწერალთა და ამათ შორის რუსულს ჟურნალებშიაც, დრეპერს ერის, სამეფოის დაბერებაზე და სხვებრ და ლუი ბლანს მიხაილოვსკიმ ერის შინაგან და გარეგან ძალოვნებათა განვითარების მიზეზების გამოწვევაზე. თუკი ამ მსოფლიო მეისტორიე მოაზრე პირებსაც-კი მოუძებნეს ზოგიერთი რამ ნაკლულევანება, სადაც კეტლეს და გერიეს თქმით ისტორიული სკოლა ბრწყინავს და სახელოვნებს, მის შემდეგ ჩვენ ბაქრაძეზე აბა რა გვეთქმის, სადაც ისტორიული სკოლა-კი არა და ისიც არ ვიცით, თუ როდის სად ვინ სცხოვრებდა და ვინ რა დაწერა.

ბაქრაძის ისტორია ჩვენი ისტორიული მწერლობის მშვენება არის, ეს არის რიგიანის და მეცნიერი კაცის მეცნიერული ნაყოფი

ზ. ჭ.